

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 2 4 9 1

ქ. ბათუმი, 03 აგვისტო 2018 წ

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 02 მაისის N1779 ბრძანების საფუძველზე სსიპ „ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) გამოცხადდა პირობებიანი ელექტრონული აუქციონი N5, რომელზეც პრივატიზების მიზნით გამოტანილი იქნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში მდებარე 5429,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.26.02.115). აუქციონის პირობებად (საპრივატიზებო ვალდებულებები) განისაზღვრა 2017 წლის 10 დეკემბერს ქ.ბათუმში, ჯინჭარაძის ქ. N12-ში (ახვლედიანის 12) მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებული (მიწის ნაკვეთის ფართობი: 7724,0 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: 05.22.28.001) N1 საცხოვრებელი შენობის (დემონტირებული) მესაკუთრებისათვის (9 ოჯახი) საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ (საკუთარი ხარჯებითა და პასუხისმგებლობით) აშენება და აუქციონზე შეძენილ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური დანიშნულების, თანამედროვე არქიტექტურული იერსახის მქონე შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა. აუქციონი დასრულდა 2018 წლის 21 მაისს 12:00 საათზე, ისე, რომ არ მომხდარა უძრავი ქონების განკარგვა. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მაისის N2130 ბრძანების საფუძველზე, აღნიშნული ქონების პრივატიზებისათვის, 20%-იანი ფასდაკლებით გამოცხადდა განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონი N7, რომელიც დასრულდა 2018 წლის 06 ივნისს. აუქციონი არ შედგა. „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 07 ივნისის N2230 ბრძანებით ქონების პრივატიზების მიზნით კვლავ გამოცხადდა განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, 45%-იანი ფასდაკლებით, რომელიც დასრულდა 21 ივნისს 12:00 საათზე, თუმცა, ქონების პრივატიზება ვერც ამ აუქციონზე განხორციელდა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად: „თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით, აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განმეორებით აუქციონად ჩაითვლება. განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი საფასური შეიძლება 50 პროცენტამდე შემცირდეს.“

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია N05.26.02.115 უძრავი ქონების პრივატიზებისათვის კვლავ გამოცხადდეს განმეორებითი პირობებიანი

ელექტრონული აუქციონი, თავდაპირველი საწყისი საპრივატიზებო საფასურის - 1047000,0 ლარის 45%-იანი ფასდაკლებითა და შეცვლილი საპრივატიზებო პირობებით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის, 119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულების საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში მდებარე 5429,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 05.26.02.115) პრივატიზებისათვის, შეცვლილი საწყისი საპრივატიზებო საფასურითა (45%-ით შემცირებული) და პირობებით.

2. პირველ პუნქტში მითითებული მიწის ნაკვეთის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 575850,0 (ხუთას სამოცდათხუთმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. დამტკიცდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია (აუქციონის პირობები), თანახმად დანართისა.

4. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს მეშვეობით.

5. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: [www.eauction.ge](http://www.eauction.ge).

6. წინამდებარე ბრძანება (ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: [www.batumi.ge](http://www.batumi.ge).

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან სამი წლის განმავლობაში.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

### ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს ელექტრონულ აუქციონს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ბაგრატიონის ქ. N127-ში მდებარე 5429,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებისათვის, შემდეგი პირობებით:

- უძრავი ქონების პრივატიზების (საკუთრებაში გადაცემა) ფორმა: განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონი (45%-იანი ფასდაკლებით);
- უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 05.26.02.115;
- საწყისი საპრივატიზებო საფასური: 575850,0 (ხუთას სამოცდათხუთმეტი ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი;
- ვაჭრობის ბიჯი: 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
- ბე/საგარანტიო თანხა: 200 000 (ორასი ათასი) ლარი;
- იმ შემთხვევაში, თუ აუქციონში მონაწილეობის მსურველი „ბეს“ ნაცვლად წარმოადგენს უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას, მისი მოქმედების ვადა არანაკლებ 15 დღით უნდა აღემატებოდეს აუქციონზე შექმნილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდის ვადას;
- აუქციონში გამარჯვების პირობა: მაქსიმალური ფასის დასახელება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საპრივატიზებო საფასურს, არანაკლებ ერთი ბიჯისა (ქონება ითვლება გაყიდულად ელექტრონულ აუქციონში საბოლოო თანხის შემომთავაზებელ მონაწილეს).
- **საპრივატიზებო პირობები:**

1) აუქციონში გამარჯვებული იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს 2017 წლის 10 დეკემბერს ქ. ბათუმში, ჯინჭარაძის ქ. N12-ში (ახვლედიანის 12) მომხდარი აფეთქების შედეგად დაზარალებული (მიწის ნაკვეთის ფართობი: 7724,0 კვ.მ.; საკადასტრო კოდი: 05.22.28.001) N1 საცხოვრებელი შენობის (დემონტირებულია) მესაკუთრეებისათვის - 9 ოჯახი (შემდგომში „დაინტერესებული პირები“) საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ (საკუთარი ხარჯებითა და პასუხისმგებლობით) აშენება შემდეგი პირობებით:

ა) ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 თვის ვადაში ჯინჭარაძის ქ. N12-ში მდებარე 7724,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.22.28.001) დაზარალებული შენობის (N1) ადგილზე (მიწის ფართობი: დაახლოებით 313,0 კვ.მ.) ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოპოვება კანონმდებლობით დადგენილი წესით, აღნიშნულისათვის აუცილებელი მოქმედებების შესრულება, მათ შორის მშენებლობის ნებართვის მოპოვების ეტაპებზე მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეთა თანხმობების მიღება. მშენებლობა უნდა დაიწყოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში და დასრულდეს - ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვეში.

ბ) საცხოვრებელი სახლი უნდა იყოს სამსართულიანი, მანსარდით, 10 საცხოვრებელი ფართით (ბინით): 1) 97,80 კვ.მ.; 2) 25,0 კვ.მ.; 3) 102,59 კვ.მ.; 4) 111,99 კვ.მ.; 5) 29,70 კვ.მ.; 6) 83,90 კვ.მ.; 7) 117,1 კვ.მ.; 8) 28,34 კვ.მ.; 9) 97,41 კვ.მ.; 10) 123,69 კვ.მ. (მანსარდულ სართულში); სარდაფით: 1) 12,50 კვ.მ.; 2) 111,17 კვ.მ.; 3) 5,62 კვ.მ.; 4) 14,56 კვ.მ.; 5) 8,15 კვ.მ.; სხვენით: 1) 76,95 კვ.მ.; 2) 45,50 კვ.მ.; 3) 30,78 კვ.მ.

შენობის სარეალიზაციო ფართობი (კ-2) უნდა იყოს არანაკლებ 1123,0 კვ.მ. (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები), აღნიშნულ ფართში არ გაითვალისწინება ტექნიკურ სართულში არსებული ფართი და სადარბაზოს ფართობი. კონკრეტულ დაინტერესებულ პირზე გადასაცემი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართები მიეთითება აუქციონზე შექმნილი მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

გ) აუქციონში გამარჯვებული (მშენებლობის განმახორციელებელი პირი) ვალდებულია, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის N007397717 დასკვნის (თან ერთვის) გათვალისწინებით მშენებლობის დაწყებამდე აწარმოოს დაკვირვება მეზობლად, ჯინჭარადის N14-ში მდებარე N2 შენობაზე (რომელიც დაზიანდა აფეთქების შედეგად) არსებულ ზზარებზე ყალაურების დადების გზით, დაკვირვება ასევე უნდა გაგრძელდეს დანგრეული შენობის (N1) ადგილზე ახალი მშენებლობის განხორციელებისას, რისთვისაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა სამშენებლო მოედნის გარშემო არსებულ შენობებს მშენებლობის დაწყებამდე ჩაუტარდეს წინასწარი ექსპერტიზა მათი მდგომარეობის დასაფიქსირებლად, სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას N2 შენობის მდგომარეობის საშიშ დონემდე მიღწევის შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია იმოქმედოს მითითებული დასკვნის შესაბამისად და საკუთარი ხარჯებითა და პასუხისმგებლობით განახორციელოს შენობის გამაგრება.

დ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართების (ბინების) გადაცემა დაინტერესებულ პირებზე უნდა მოხდეს შემდეგ მდგომარეობაში: ბინის კონტურის კედლები; მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები; შესასვლელი რკინის კარი; მოწესრიგებული სადარბაზო, ფასადი და სახურავი. აუქციონში გამარჯვებულმა საკუთარი ძალებით უნდა უზრუნველყოს საცხოვრებელი სახლის ცენტრალურ კომუნიკაციებთან მიერთება.

ე) შესრულებული სამუშაოების დაინტერესებული პირებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

2) გამომდინარე იქედან, რომ საპრივატიზებო პირობების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამაბრკოლებელ გარემოებად შეიძლება იქცეს მითითებული პუნქტით გათვალისწინებული თუნდაც ერთი დაინტერესებული პირის უარი ჯინჭარადის ქ. N12-ში საცხოვრებელი სახლის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე ან/და მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეთაგან თანხმობის მიუღებლობა მშენებლობის ნებართვის მიღების ეტაპებზე, თუმცა მხარეები ყველანაირად ეცდებიან დამაბრკოლებელი და ხელშემშლელი გარემოებები მოაგვარონ მოლაპარაკებების, მათ შორის მესამე პირებთან მოლაპარაკებების წარმოების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში (რაც დგინდება ჯინჭარადის ქ. N12-ში მშენებლობის ნებართვის მოპოვების ეტაპზე) მხარეთა (მუნიციპალიტეტი, ქონების შემძენი) ორმხრივი შეთანხმებით ნასყიდობის ხელშეკრულება უქმდება, შესაბამისად, ქონების შემძენს აუქციონზე შეძენილი 5429,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკუთრებაში არ გადაეცემა, ხოლო თუ გამოცემულია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ქონება ბრუნდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ქონების შემძენს გადახდილი საპრივატიზებო საფასური, მათ შორის ბე/საგარანტიო თანხა უბრუნდება უკან, ამასთან მას არ აუნაზღაურდება სხვა ხარჯები.

3) აუქციონში გამარჯვებულმა, მითითებული პირობების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადასტურების) შემდგომ საკუთრებაში გადაცემულ 5429,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს მრავალფუნქციური დანიშნულების, თანამედროვე არქიტექტურული იერსახის მქონე შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობა შემდეგი პირობებით:

ა) შენობა-ნაგებობ(ებ)ის საპროექტო ტექნიკური პარამეტრები უნდა იყოს: ა) მიწის ნაკვეთზე შენობ(ებ)ის განაშენიანების ფართობი (კ-1) - არანაკლებ 3700,0 კვ.მ.; ბ) შენობ(ებ)ის სარეალიზაციო ფართობი (კ-2) - არანაკლებ 21260 კვ.მ.; 3) ტერიტორიის გამწვანებული ფართობი (კ-3) - არანაკლებ 532,0 კვ.მ.; შენობა (შენობები) უნდა იყოს არანაკლებ 6 (ექვსი) სართულიანი.

ბ) შენობა-ნაგებობა (შენობა-ნაგებობები) უნდა შეიცავდეს მიწისქვეშა ან/და ღია ავტოსადგომს, მყიდველის სურვილის შესაბამისად - საცხოვრებელ ბინებს, სასტუმროს, საცხოვრებელ აპარტამენტებს და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებს, ან/და სარიტუალო დარბაზს (არანაკლებ 500 პერსონაზე);

გ) მშენებლობა უნდა დაიწყოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 28 თვეში და დასრულდეს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 თვეში. ამასთან ქონების შემძენზე მშენებლობის ნებართვა გაცემა მხოლოდ მითითებული პირობების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების (ჯინჭარადის ქ. N12-ში საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ აშენება) სრულად შესრულების შემთხვევაში.

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აუქციონში გამარჯვებულ პირს შეუძლია შეიტანოს ცვლილებები მაღლივი შენობა-ნაგებობ(ებ)ის საპროექტო დოკუმენტაციაში.

4) აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ღირებულება (საპრივატიზებო საფასური) გადახდილ უნდა იქნეს სრულად ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის ვადაში შემდეგი წესით:

- საბოლოო საპრივატიზებო საფასურის 50% გადახდილ უნდა იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან 3 თვის ვადაში;

- საბოლოო საპრივატიზებო საფასურის დარჩენილი 50% გადახდილ უნდა იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის ვადაში;

აუქციონში გამარჯვებულს გადახდილი ბე/საგარანტიო თანხა (200 000,0 ლ.) ეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას, მის მიერ ელექტრონულ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო საპრივატიზებო საფასურსა (სრულ ღირებულებას) და საგარანტიო თანხას/„ბე-ს“ ოდენობას შორის არსებული სხვაობის მითითებული პირობებით და ვადებში სრულად გადახდის (ხელშეკრულების დადებიდან 3 თვეში საბოლოო საპრივატიზებო საფასურის 50%-ის, ხოლო 6 თვეში - ბეს/საგარანტიო თანხის გამოკლებით დარჩენილი ნაწილის გადახდის) შემთხვევაში, ხოლო თუ წარდგენილია საბანკო გარანტია (საგარანტიო ფურცელი), საბანკო გარანტია უბრუნდება უკან, მის მიერ აუქციონზე შექმნილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის მითითებულ ვადებში (ხელშეკრულების დადებიდან 3 თვეში საბოლოო საპრივატიზებო საფასურის 50%-ის, ხოლო 6 თვეში - დარჩენილი 50%-ის) სრულად გადახდის შემთხვევაში.

5) აუქციონის (საპრივატიზებო) პირობების, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა, გარდა წინამდებარე პირობების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებებისა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განიხილება ელექტრონული აუქციონის შედეგების (ოქმის) გაუქმების საფუძველად. ამასთან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში პრივატიზებული ქონება ბრუნდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) უფლება (უფლებები) უქმდება, თუ ქონების დატვირთვამდე საჯარო რეესტრში მოთხოვნებისა და უფლებების შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, ქონების შემძენს მუნიციპალიტეტი არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებსა და გაწეულ ხარჯებს.

- აუქციონში მონაწილეების მიღებით აუქციონის მონაწილე ადასტურებს, რომ ის იღებს ვალდებულებას გამარჯვების შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილოს გამოცხადებული სააუქციონო პირობები;
- აუქციონში გამარჯვებულია ვალდებულია აუქციონში გამარჯვების თაობაზე შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში გამოცხადდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურში და ნასყიდობის ხელშეკრულების დასადასტურებლად წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია. ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის შედგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.
- აუქციონის დაწყების და დასრულების დრო: აუქციონი იწყება 2018 წლის 03 აგვისტოს 16:00 საათზე და სრულდება 2018 წლის 17 აგვისტოს 12:00 საათზე.
- ელექტრონული აუქციონი ჩატარდება ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)
- აუქციონის მონაწილეს უფლება აქვს დაათვალიეროს საპრივატიზებო ობიექტი.
- დაინტერესებულ პირს დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლია მიმართოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს (მის. ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N10; ტელ: (0422) 24 63 15; 24 63 06; 577 08 09 92; საკონტაქტო პირი - რუსუდან ჟოჟაძე)

### აუქციონში მონაწილეობის პირობები და აუქციონის ჩატარების წესი

(შედგენილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ შესაბამისად)

#### 1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის პირობები

1.1. ელექტრონული აუქციონის ფორმით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის (შემდგომში „მუნიციპალიტეტი“) ქონების (გარდა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთისა) შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია, ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებისას - კანონით განსაზღვრული პირი.

1.2. ელექტრონული აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების/საკუთრებაში არსებული აქციების და წილების სარგებლობაში/მართვის უფლებით მიმღები შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი.

1.3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულოა:

ა) ვებგვერდზე [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) დარეგისტრირება (რეგისტრირდებიან როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირები);

ბ) რეგისტრაციის დროს ელექტრონული აუქციონის წესების გაცნობა და მათზე თანხმობის გაცხადება.

გ) პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პირობების გაცნობა;

დ) საბანკო დაწესებულების მეშვეობით, აგრეთვე, „ინტერნეტბანკინგის“, საბანკო პლასტიკური ბარათისა და სხვა ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, „ბე“-ს გადახდა ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა/გააქტიურება (ელექტრონულად). აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ქონების პრივატიზებისთვის/სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემისთვის მოწყობილ ელექტრონულ აუქციონში, „ბე“ უნდა გადაიხადოს ან უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია წარმოადგინოს/გააქტიუროს (ელექტრონულად) თითოეული ქონებისათვის ცალ-ცალკე.

1.4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველს შეიძლება, უარი ეთქვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია „1.3.“ პუნქტის მოთხოვნები.

## 2. ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესი

2.1. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მსურველი, რომელიც აკმაყოფილებს „1.3.“ პუნქტით განსაზღვრულ პირობებს, საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატების შემთხვევაში, იძენს ელექტრონულ აუქციონში მონაწილის სტატუსს.

2.2. ელექტრონული აუქციონი ტარდება ონლაინ რეჟიმში.

2.3. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის დროს ფასის მატება ჩანს ონლაინ რეჟიმში.

2.4. ელექტრონული აუქციონის დასაწყისად ითვლება მისი შესაბამის ვებგვერდზე გამოცხადების მომენტი.

2.5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილე პირს, რომელსაც სურს საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან დაიწყოს ვაჭრობა, ონლაინ რეჟიმში ამატებს ფასს (რაც ნიშნავს საწყის საპრივატიზებო საფასურზე ბიჯის დამატებას), რომელიც, ასევე, ფიქსირდება ონლაინ რეჟიმში. ვაჭრობა გრძელდება, სანამ რომელიმე მონაწილე არ დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს. მუნიციპალიტეტის ქონება ითვლება გაყიდულად (სარგებლობაში/მართვის უფლებით გადაცემულად) აუქციონის იმ მონაწილეზე, რომლის მიერაც ონლაინ რეჟიმში ვაჭრობის დასრულების მომენტისთვის შემოთავაზებული იქნება ყველაზე მაღალი ფასი.

2.6. თუ ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე (მითითებული უნდა იყოს ელექტრონული აუქციონის დასრულების ზუსტი დრო) ბოლო 2 წუთის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, მაშინ ფასის შეთავაზების დრო გაგრძელდება 2 წუთით, დასრულების მითითებული მომენტიდან. თუ ამ დროის განმავლობაში შეთავაზებული იქნება ახალი ფასი, დრო კიდევ გაგრძელდება 2 წუთით, სანამ არ დაფიქსირდება საბოლოო თანხა. მაგრამ, თუ დამატებული დროის განმავლობაში ახალი ფასი არ იქნება შეთავაზებული, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება საბოლოო ფასის შემთავაზებელი პირი.

2.7. ვაჭრობის დასრულებისას, გამარჯვებულსა და ელექტრონული აუქციონის სხვა მონაწილეებს, ელექტრონული გზით (მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე), გაეგზავნებათ ინფორმაცია ელექტრონული აუქციონის შედეგების შესახებ, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

2.8. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს, ელექტრონული გზით, ეცნობება საბოლოო ღირებულების სრულად გადახდის თარიღი და ქონების გადაცემის პირობები, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად. ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულ მონაწილეებს ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია

დაუბრუნდებათ ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ბე აუქციონში დამარცხებულს უბრუნდება მის მიერ მითითებულ ანგარიშზე, ხოლო საბანკო გარანტია დამარცხებულს უბრუნდება მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

2.9. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც აუქციონში მონაწილეობის მისაღებად, დადგენილი წესით, გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ აუქციონში მონაწილეობისათვის გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

2.10. ელექტრონული აუქციონის შედეგები უქმდება და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი/გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ:

ა) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარი განაცხადა;

ბ) ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა, აუქციონატორის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სრულად არ გადაიხადა შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2.11. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ბე, აგრეთვე, სრულად ირიცხება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ დაარღვია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“ განსაზღვრული წესი და პირობები.

### **3. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

3.1. აუქციონატორი (მუნიციპალიტეტი) უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს შეცვალოს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესი და ელექტრონული აუქციონის პირობები (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) და განათავსოს შესაბამის ვებგვერდზე;

ბ) შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, მომხმარებლის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზების გამო, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან აუქციონატორს;

გ) შეაჩეროს ან შეწყვიტოს რეგისტრაცია და შესვლა ვებგვერდზე, თუ ჩათვლის, რომ მომხმარებელი მოქმედებს ამ წესის მოთხოვნათა დარღვევით;

დ) ელექტრონული აუქციონის პროცესში რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი ზომები.

3.2. აუქციონატორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, ელექტრონულ აუქციონში მონაწილეს, მისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, უბრუნდება ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, თუ შეცვლილი წესითა და ელექტრონული აუქციონის პირობებით (პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში) აღარ სურს ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობა.

3.3. აუქციონატორი ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით, გადასცეს ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს საკუთრების უფლება ქონებაზე (ხოლო ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში – საკუთრების უფლება ვალდებულებებთან ერთად).

3.4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი უფლებამოსილია:

ა) შეიძინოს მუნიციპალიტეტის ქონება;

ბ) ნებისმიერ დროს განაახლოს თავისი პირადი მონაცემები.

3.5. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია:

ა) დაიცვას ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის წესები;

ბ) მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება, ხოლო პირობებიანი ელექტრონული აუქციონის შემთხვევაში, დადგენილი წესით დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები.

#### **4. ანგარიშსწორება**

4.1. მომხმარებლის მიერ სასურველ ლოტზე ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ლოტზე მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა შესაძლებელია საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და აუქციონატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებებით. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა შესაძლებელია როგორც გააქტიურებით (ელექტრონულად), ასევე წარდგენის საშუალებით.

4.2. ელექტრონული აუქციონის შესაბამის ვებგვერდზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ლოტის სრული ღირებულების გადახდის, ასევე ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდის ფორმები. აღნიშნული ფორმები შეიცავს ინფორმაციას გადამხდელის, ლოტის (ლოტის სრული ღირებულების მითითებით) და აუქციონატორის შესახებ, დასახელებისა და ანგარიშის/ანგარიშების ნომრ(ებ)ის მითითებით.

4.3. მომხმარებლის მიერ სასურველ ლოტზე ბეს/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გადახდა, ასევე ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის მიერ შესაბამის ლოტზე მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდა ხორციელდება, ამ წესის გათვალისწინებით, აუქციონატორის მიერ განსაზღვრული წესით, საბანკო დაწესებულებაში, ინტერნეტბანკინგის საშუალებით, საბანკო პლასტიკური ბარათითა და აუქციონატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებებით.

4.4. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის მიერ გადახდილი მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულება ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

#### **5. გარიგების გაფორმება და ქონების მიმღების პასუხისმგებლობა**

აუქციონში გამარჯვებულთან გარიგების გაფორმების წესი, ქონების მიმღების ვალდებულებები, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქონების მიმღების პასუხისმგებლობის წესი და პირობები, დასაკისრებელი პირგასამტეხლოს ოდენობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებით“ და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის N37 დადგენილებით.